27.07.2017

N4343

შპს ,,იბეროილი"-ს დირექტორს

ბ-ნ მ. ნიკოლეიშვილს

თბილისი, ქიზიყის ქ.N 18

ბატონო მიხეილ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს "საქართველოს რკინიგზაში" განხილული იქნა თქვენი 2017 წლის 24 ივლისის N IRB-03/7 წერილი, რომელიც ეხება თქვენი კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მისასვლელი ლიანდაგების მოწყობის პროექტის შეთანხმებას.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ტექნიკურად შესაძლებელია შპს "რეილვეიბილდინგ"-ის მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით განხორციელდეს ახლადმოსაწყობი მისასვლელი ლიანდაგების მიერთება არსებულ ლიანდაგთან არაცენტრალიზირებული რ-50 ტიპის 1/9 მარკის ისრული გადამყვანის საშუალებით. ლიანდაგის ზედა ნაშენი შედგება რ-50 ტიპის მველვარგისი რელსებისაგან და ხის და რკ. ბ. შპალებისაგან, შესაბამისად 20 და 25 სმ სისქის მდინარისეული ღორღის ბალასტზე დაგებით.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია:

1. საპროექტო N 01 ლიანდაგის დაგება სრული სიგრძით 307 გრძ. მ, რომელზედაც მოხდება ნავთობპროდუქტებით დატვირთული ვაგონების მიღება-გაგზავნა;

2. ესტაკადის მოწყობა 5 პირობით ვაგონზე, სიგრძით 70 მ;

2. ჩამგდები კალმის (ჩარჩო რელსით) დაგება პკ 0 + 50 მ-ში;

3. ხის ტიპიური სალიანდაგო რელსის საბჯენის მოწყობა საპროექტო ლიანდაგის ბოლოში.

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა